# ტარტაროზი

წელიწადი მეხუთე

ფასი 15 კაპ.

კვირა, 16 დეკემბერი 1928 წ. № 183

ნახ. ნადარეიშვილის




„სადაც ჰუნნების ცხენი ფეხს დადგამს, იქ ბალახი ვერ იხეირებს"-ო,— ამბობდა ხალხი ძველს დროში.

„სადაც „მსუბუქი კავალერია" ფეხს დადგამს, იქ ბიუროკრატი თუ სხვა სიწამხდრე ვეღარ ხეირობს"—ვამბობთ ჩვენ ამჟამად.

F-925

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დელეგატი

**ქიშვარდის** სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა როცა ის დელეგატად აირჩიეს. ყრილობაზე გასაგზავნად.

არა მარტო ქიშვარდი და მისი ცოლი ამაყობდენ ამ ამბით, პატარა ბიჭიც კი ცხვირაწევით ამბობდა ტოლებში:

— მამა დელეგატია და კი ვეტყვი შენ რომ მცემე, და გაყურებიებს სეირს-ო...

— აბა შენ იცი რას მომიტან ქალაქიდან. სირცხვილია—დელეგატი კაცი რომ ხელცარიელი დაბრუნდე სახლში!—ეუბნებოდა ცოლი ქიშვარდის, რომელიც წასასვლელად ემზადებოდა.

— თუ რამეს მომცემენ, ჩავაფრინდები და ხელიდან არ გაუშვებ, თუ არა-და, რა უნდა მოგიტანო?—აბა ამიტომ ასისხლებდი თავს, რომ დელეგატად აერჩიე?

— ქალო, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქალაქის ნახვას გამოვრჩები მაინც. სახარჯო ფულს რასაც მომცემენ, კაპიკს არ დავხარჯავ. ქალაქში ბევრი მყავს აქაური მეზობლები და თითო დღეს ყველას დავეპატიჟები. ისე რავა წავხდები, რომ ერთი გამონაცვალი პალტო არ მოგიტანო.

— გამონაცვალი და ძველი რად მინდა!?. ახალი უნდა მიყიდო!

— შენ ნუ მომიკვდე, არ იკადრებ!.

---

**ქიშვარდის** ძალიან მოეწონა ქალაქი.

— დღეს ყრილობის გახსნას არ დავესწრები. ქალაქს დავათვალიერებ და ხვალიდან დავიწყებ ყრილობაზე სიარულს!—გაიფიქრა მან და წავიდა ნაცნობებთან.

— შენ დელეგატი კაცი ხარ და ერთს ლაზათიანად გვასადილებ!—გამოურია ლაპარაკში ქიშვარდის მეზობელმა, რომელიც ქალაქში მსახურობს.—დღიურებს ხომ გაძლევენ სახარჯოთ?

— არაფერსაც არ მაძლევენ. იციან, რომ თქვენისანა კარგი მეზობლები და ამხანაგები მყევხართ ქალაქში და ფული არაფერზე არ დამეხარჯება, რადგან ყველაფერზე თქვენ დამპატიჟებთ!—იხუმრა ქიშვარდიმ და ამ ლაპარაკით ავეტიკას სარდაფში ჩავიდენ.

---

**მეორე** დღეს ქიშვარდის ამხანაგს გვიან გამოეღვიძა.

თავი საშინლად სტკიოდა.

— რაფერ მალე დამათვრო იმ ღვინომ! რა ყოფილა ეს თქვენი კახური? ჩვენი ადესა ორი ფუთი დამილევია ერთად, მარა არც ფეხი შემშლია და არც ენა!—ამბობდა ქიშვარდი.

—:—

— შე ოხერო, თუ ქალაქში ჩამოდი, ჩემთან ვერ მოდი!— დანახვისთანავე ხალამის უმალ მიაძახა სერგომ ქიშვარდის.

— რა იცი არ მოვალ?!. დღეს სადილზე შენსას მოვდივარ!—გაეხუმრა ქიშვარდი სერგოს და...

**მესამე** დღეს ქიშვარდის უნდოდა ყრილობას დასწრებოდა, მაგრამ როცა ქუჩაში მიდიოდა, თვალი მოჰკრა ფუნიკულიორს როცა ტრამვაი ადიოდ-ჩამოდიოდა.

— იმის ნახვა ქე მინდა, მარა ყრილობა როგორ დავტოვო...

— ჯერ ადრეა... წავიდეთ, ვინახულოთ ფუნიკულიორი და საღამოსაც მოესწრები ყრილობას. შენ კი არა, უცხოელები, რომლებიც აქ ჩამოდიან, ისე არ წავლენ რომ ფუნიკულიორი არ ინახულონ...

— იქ რა არის?— ხელი გაიშვირა სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ ქიშვარდიმ.

## თანამედროვე იანუსი

ნახ. მარიაშის



**სოციალ-დემოკრატი** —ანუ მუშებთან და ბურჟუაზიასთან „ზრასტი-პრაშჩაი“.

— ბოტანიკური ბაღია! იმის გამოღმა აქეთ შაითან ბაზარი.

— ამერიკული ბაზარი სად არის?

—აი, იქ!

— დეზერტირის?

— აი, იქ!

---

**მეოთხე** დღეს— ზაჰესი და საღამოს კინო...

**მეხუთე** დღეს—ისევ დაპატიჟება მოყვარეებისაგან.

— არა უშავს რა! მართალია, ყრილობას არ ვესწრობი და არ ვიცნობ მის მუშაობას, მარა ქალაქი კარგად გავიცანი. ფულიც არ მეხარჯება, მპატიჟობენ. ცოლს პალტოს კი ვუყიდი მგონი... ყრილობას ხვალ დავესწრობი და მაინც ყველაფერს გავიგებ. ნუ გეშინია კი უყვართ ზოგ ორატორებს ათასჯერ ერთიდაიგივეს და თქმულის განმეორება!— ანუგეშებდა სუფრაზე თავის თავს ქიშვარდი და კახურს ეხლა უფრო უშიშრად ყლაპავდა.

**მეექვსე** დღეს ქიშვარდი მონახეს ქალაქის „მეგობრებმა“ და „თავი ისე შეუხვიეს“, რომ რესტორან „სიცოცხლე“-ში წავიდეთ „თითო თითო*) დასალევათ.

— კი ყოფილა მართა სიცოცხლე!—ამბობდა ქიშვარდი, როცა ეს მოდა მუსიკა.

— თქვენ არ მომიკვდეთ! მართლა ის კი არ არი?! დღეს ყველანი ჩემი დაპატიჟებული ხართ!—და ქიშვარდიმ ხელი გაიკრა ჯიბეზე.

**მეშვიდე** დღეს ქიშვარდი ყრილობაზე დასასწრებად მიდიოდა და ფიქრობდა:— ტყვილად ვაგროვე ამდეხანს ფული ცოლის პალტოს საყიდლად; წუხელის წირვა გამოუყვანე... „სიცოცხლე“ კი არა, სიკვდილი ყოფილა იგი რესტორანი!

— ამ ფიქრებით ის მიადგა ყრილობის დარბაზის კარეებს.

— ვერა ხედავთ, რომ კარები დაკეტილია!?.—შემოუტია დარაჯმა.—რას ეჯახუნებით!

— უკაცრავად, მარა მე დელეგატი გახლავარ!—და ქიშვარდიმ იშვიშლა ჯიბიდან მანდატი.

— ჰმ! ყრილობა გუშინ საღამოს დასრულდა და დელეგატები უკვე წავიდნენ პროვინციებში!

„ერქმან-შატრიან“.

*) „თითო - ჰიქა“.



# ბაღში

ნახ. ნადარეიშვილის.

დღე უკლებლივ და მუდამ დღე
ამ ჩვენს ბაღში
მე ოცნებით ვნავარდობ ამ
„ყოფილ ხალხში“,
მაღლა ხიდან ყვავებიც რომ
თავთ დასჩხავის:
„ცრემლი ცრემლზე“ მარგალიტებრ
ცვივა ყვავის!..
და ეფრქვევა ეს იმათ შუბლს,
იმათ ქოჩრებს...
რაღაც ფიქრი გულს უმძიმებს
ამ ხალხს „ოჩენ“!..,

თუ სჩივიან წარსულ დღეთა
სიამეთა?
თუ მომავალ ზამთარს გრძნობენ
ყიამეთად,
და შეშისთვის ჯიბში რომ არ
ჰყავის ფული,
ტკბილ ოცნებათ ეხატვისთ წინ
გაზაფხული,
და ზრახვებიც გულს უტოკებსთ,
საესავი?!.,
მაშ, ყვავები?-.. რათ დასჩხავის
მათ თავს ყვავი?-.,

ლ—მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვაი, შენს ანდუყაფარს...

ქე ვიყავი ჩემთვის მშვიდათ:
ვაბჟუტებდი ღამით ლამფას,
ვინ უშლიდა მის სინათლეს
და მის ბოლს შენს ანდუყაფარს?!.

რომ ამიტყდა ჩემი ცოლი
და საშველი არ გამართვა:
„ელექტრონი რომ არა გვაქვს,
როგორ ფიქრობ, კაცო მართლა?!.

აი, რა ბედნიერია,
მაგალითად, სიკოს ცოლი,
ქმარი მყავსო, მან უნდა სთქვას,
არ გეგონოს შენი ტოლი!

ყოველ ფეხის გადადგმაზე
ის შენსავით არ კანკალებს,
გადის წელი, რაც ბინაში
ელექტრონი უბრჭყვიალებს!..

შენზედ მეტი ჯამაგირი
სიკოს, აბა, სად ჰქონია?
მხოლოთ, სჩანს, რომ იგი შენზე
ცოლის უფრო გამგონია!

ამიტომაც მიჰყავს საქმე
ასე ჰკუით, ასე ლაღათ...
შენისთანა ქმარის ხელში
რაღათ მინდა თავი, რაღათ !.

და ატირდა!.. „ცრემლი ცრემლზე
მარგალიტებრ დაეკიდა“,
თითქოს ჩემზედ ცოლად არა,
ვინმეს ის ყმად გაეყიდა...

და დაურთო: „აი, კიდევ,
მაგალითად, გიგოს ცოლი,
მის ბინაში შესვლას რა სჯობს‘
რა დგამი ან რა საწოლი?

ელექტრონი მათაცა აქვთ,
გიგომ ის წელს გაიყვანა;
გიგოც ცოლის დამჯეროა,
არ გეგონოს შენისთანა!..

აი, კიდევ ჩვენი კოტეს
ცოლი, ქერა ირინია,
ნეტავ, ყველა—ჩემს მოკეთეს,
რაც ყოფაში იგინია!..

გეგონებათ ტახტზე სხედან
ბატონი და ქალბატონი,
მათ ბინაშიც, თითქოს მზეა,
ისე ბდღვინავს ელექტრონი!..

აი, ცოლი! აი ქმარიც,
ერთმანეთის შესაფერი!..
ერთი სიტყვით, მე შენს ხელში
აღარ მქვია არაფერი!

არც „ზაჰესი“ რასმე მშველის
მე შენს ხელში, არც „ტელასი“,
ვგდივარ ისე, როგორც მორგვი,
უარესი ვარ ყველასი!“.

ამიტყდა და აღარ მომცა,
ამის შემდეგ, გასაქანი,
სანამ „ტელასს“ ზე არ მივე
ზე, ელქსელის გასაყვანი!



ზე თუმც რა ზე? თითო „ტოჩკა“
ჩამითვალეს რაღაც თუმნად,
ხდაც—მთელის წლით, ნაწილ-ნაწილ,
ესეც დამრჩა საამურად,

და იმავ წამს დავუწერე
პირობა და ხელწერილი...
რა ვიცოდი, თუ „ტელასს“ მე
ვყავდი ამით „შეკერილი“?...

ხელწერილით განსაზღვრული
ხუთი თუმნის მაგიერად,
თუთხმეტ თუმანს მაწაპნის და,
მაინც არ მყავს მადლიერად!

ხან „პენებით“ შემიკაზმავს,
ზურგს მომადგამს უნაგირად,
ხან მანეთს თუ ხან მეტ-ნაკლებს
მადებს „სათვალავის“ ქირად!

და მთვლელი—მოანგარიშეც,
ალბათ, ხარჯათ მე მაწვება;
ბინაა თუ ფეხის ქირა,
მისი ჩაცმა, მისი კვება...

მოსდგა ახლა „სახლის დავთარს“:
ხან უკლო და ხან უმატა,
ყველას ფასი მე დამადო,
სჩანს, ქამაში მოსდის მადა!

კვლავ პორტფელიც მოიგონა,
ვერც აქა სძლებს, სჩანს, უმისოდ;
თვით ჩემს კედელს მიაკიდა,
ფასს კი მე მთხოვს უსინდისოდ!

მართალია, კონვერტივით
ქაღალდია, რაღაც მქისი,
მაგრამ ჩემთვის არ უკითხავს
არც ყიდვა, არც კიდვა მისი,

და, მაშ, მე ფასს რისთვის მივცემ?
შუქის ფასსაც ვერ ავდივარ!..
ერთი სიტყვით, მე ტელასმა
ჯერ დამჩაგრა ქონებრივად,

შემდეგ ესეც არ მაკმარა,
გონებრივიც მომდო ჭანგი:
სად ვიშოვო ეს ფულები,
მე ხომ არ ვარ, ვსთქვათ, „გოსბანკი“?

მასთან, ვიცი: შარს კვლავაც მომ-
დებს,
‘კვლავ რაღაცებს მოიგონებს,
განათებას ვინ-ღა ჩივის,
დამაბნელებს, დამიმონებს!..

ვაჰ, შენ, ბოძო ელექტრონის,
ვინც შენ ასე დაგაყუდა,
ჩემებრ შენგან თავის დახსნას
ის „ტელასი“ დანატრულდა!

რომ გაგიბამს ეგ სინები,
სულ დავწყვეტ, თუ შევიძელი,
რა ყრია მათ, სინათლეში,
თუ ამდენი მოსდევს ბნელი?!.

ქე ვიყავი ჩემთვის მშვიდათ:
ვაბჟუტებდი ღამით ლამფას,
დღეს, ვაი, რომ მის შუქს ვნატრობ...
დღეს ვაი, შენს ანდუყაფარს!..

**ანდუყაფარ ჰაზირაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ძველი ღვინო ახალ ტიკში"

ნახ. ნადარეიშვილის



თუ იკადრება, „კადრი" სახკინმრეწვის მომავალ დადგმისათვის.

## კულტმუშაობა ზოგიერთ სოფლებში

იმ სოფელში, სადაც მე ვცხოვრობ, უმეტესობა გლეხობაა, არის თუმცა „ჩოხა დახეული" ნააზნაურალი ხალხიც ბლომად მოიპოვება.

ეს სოფელი, სხვათა შორის, სკოლებით ძალიან მდიდარია, ხოლო სათითაოდ თვითეული სკოლა ძალიან სიღარიბეს განიცდის.

არ იფიქროთ თითქოს მასწავლებლების მხრივ. აბა რა სათქმელია— ყოველ წელიწადს თითო სკოლას თითო მასწავლებელი მაინც ემატება და თუ მომავალშიაც ასე გაგრძელდა, მოწაფეთა რიცხვი ბევრით ველარ გაუსწრებს მასწავლებელთა რიცხვს.

რაც შეეხება სწავლის მეთოდს, იშვიათადაა დაყენებული: დილას არცერთი სკოლაში არ სწარმოებს მეცადინეობა. სწავლა იწყება თორმეტი საათიდგან. ეს მეთოდი იმით არის ხელსაყრელი, რომ მოწაფეთა დადგიანებას ადგილი აღარ აქვს; გარდა ამისა დილიდან შუადღემდე მოწაფეები თამაშობენ და როცა სწავლა იწყება, სრულიად მოღლილონი არიან და გაკვეთილების დროს სმენის თავიც კი აღარ აქვთ, არამც თუ ცელქობისა.

მასწავლებელთა სკოლის გარეშე მუშაობა კულტურულ დარგში მეტად დიდია. ყველა მათგანს აქვს საკუთარი ვენახი, სადაც, თავის გარდა, მოწაფეებსაც ამუშავებენ. ვენახი კი, როგორც ვიცით, კულტურული მცენარეა და მუშაობას საჭიროებს.

სოფელში არსებობს ერთი ქოხ-სამკითხველო, (უკეთ რომ ვსთქვათ, გაზეთების საწყობი). სამკითხველო მართლაც ქოხშია მოთავსებული და ამით ამართლებს სახელწოდებას. უკეთეს ბინისთვის არავინ ფიქრობს. ჯერ-ჯერობით მისი „მუშაობა" დამაკმაყოფილებელზედაც მეტია, იგივე ასრულებს კლუბის დანიშნულებას და ნამდვილ გასართობს წარმოადგენს.

სამკითხველოში დაწყობილ გაზეთებსაც მალე თავის „დანიშნულებას" ასრულებინებენ. უქმე დღეობით სამკითხველოში დგას (უკეთ რომ ვსთქვათ ზის) ხმამაღლა მოლაპარაკე „აპარატები" და ერთმანეთს ეჯიბრებიან ლაზღანდარობაში.

წრეების მუშაობას არა უშავს რა. ქაღალდზე არსებობს სხვადასხვა წრეები: ლიტერატურული, ახკომოლ, ფიზკულტურის და სხვა. დრამწრის ჩამოყალიბება ვერ მოხერხდა; მთელი სოფელი რომანიულად არის განწყობილი და მათი დრამატიულ წრეში შეკავშირება, შეუძლებელია. ყველა ამ წრეების მუშაობა პირველად მიძინებული გვეგონა, მაგრამ რა კი ამდენხანს აღარ გამოიღვიძა, დავრწმუნდით, რომ მიცვალებული ყოფილა.

ავიაქიმის უჯრედი ჩამოყალიბდა ამ სამი წლის წინად. წელს უკვე მანდატები დაურიგდათ წევრებს და ამ ორ-სამ წელში ალბად ორგანიზაციულ მუშაობასაც დაიწყებს. რემედასის კრება მოხდა 1927 წ. და ზოგიერთი საკითხები გადაიდო შემდეგი კრებისთვის, რომელიც ალბად მოხდება ამ 1930 წელს. გეგმა არც მათ ხელმძღვანელებს აქვთ და არც უჯრედებს.

• ულმერთოთა კავშირს ყველაზე მეტი წევრი ჰყავს. მოკლე ხანში, ფიქრობენ, რომ კონსტანტინე მღვდელიც გახდება ამ ორგანიზაციის წევრი.

ძგმუნტი.

# სტილის საკითხი

ნახ. დონის



— ყარგი რამ არის ეს ახალი შენობა, მაგრამ რალაცა მაინც აკლია!
— ჯვარი აკლია თორემ ეკლესია იქნება!

## ჩოხა ცინცაძეთ ტაური

### საჯავახური ხუმრობა

— ამხანაგო, აქ ალმასკომის თავმჯდომარე ვინ არის?—შევეკითხე ალმასკომის კარებთან დაყუდებულ დარაჯს.

— კოსტა ცინცაძე გახლავთ!— მიპასუხა მან.

— ამხანაგო კოსტა, თუ შეიძლება მომეცით დაბადების მოწმობა?

— კი, მარა გიორგი პოლარესთან მიდი და გაიგე: გადახდილი გაქვს თუ არა სასოფლო - სამეურნეო და საავათმყოფოს გადასახადი.

მოლარემ მომცა ცნობა, რომ გადახდილი მქონდა აღნიშნული გადასახადები. ცნობის ქვეშ წითელი მელნით ეწერა: „მოლარე: გ. ცინცაძე.

— მაშ დაუწერე დაბადების ქაღალდი! — გასცა განკარგულება ალმასკომის თავმჯდომარემ.

— რაო, რა სთქვა? რა გინდა შენ? — შემეკითხა ღრმა მოხუცი 80 წლის მდივანი. — ყურს მაკლია და ვერ გავიგონე?

— დაბადების მოწმობა უნდა მომცე, ჩემო დარისპან! — ვუთხარი და დავუმატე: — კაცო, აწი შენ პენსია მოგეცემა და რატომ არ ანებებ თავს სამსახურს?

გამოირკვა, რომ —ცინცაძეებში დარისპან ცინცაძის მეტი არავინ ყოფილა ჯერ-ჯერობით, რომ შეეძლოს ალმასკომის მდივნის თანამდებობის შესრულება. კოსტა ცინცაძის ვაჟი გიორგი ჯერ ათი წლის არის და სანამ მას მდივნობა არ შეეძლება, მანამდე დარისპან ცინცაძე უნდა იყოს მდივნად. ხოლო, როცა გაიზრდება, შემდეგ შესცვლის დარისპანს.

— აქ ყველა ცინცაძე ყოფილა!— გავიფიქრე და შევიარე გლეხკომში.

— გლეხკომის თავმჯდომარე ვინ არის აქ? — ვიკითხე მე.

— ისიდორე ცინცაძე.

— მდივანი?

— სანდრო ცინცაძე.

— ის ყმაწვილიც ცინცაძეა იქ რომ რაღაცას სწერს?

— დიახ, ისიც ცინცაძეა.

— თქვენი გვარი?

— მეც ცინცაძე გახლავარ! ფული მაქვს ასაღები გლეხკომში. აი ეს გლეხებიც ცინცაძეებია; მათაც ფული აქვთ ასაღები.

— გლეხკომი კი არა, „ცინცკომი“ ყოფილა აქ? — გავიფიქრე ჩემთვის და „ეპო“-სკენ ვქენი პირი.

კიბეზე კაცი შემხვდა.

— გამგეობის თავმჯდომარე ვინ არის აქ? — შევეკითხე მას

— მე გახლავარ.

— თქვენი ვინაობა?

— სეფე ცინცაძე.

— ალბად აქაც ცინცაძეებია და ისევ სჯობია ცენტრალურ მაღაზიაში შევიდე! — გავიფიქრე და უკან გამოვბრუნდი.

— თქვენი სახელი და გვარი, ამხანაგო? — შევეკითხე ნოქარს.

— სანდრო ცინცაძე! — იყო პასუხი. აქედან კოოპერატივში შევედი და გამოვკითხე ნოქრებს მათი სახელი და გვარი.

— შერმანდი ცინცაძე... ნიკიფორე ცინცაძე... პლატონ ცინცაძე';;— იყო მათი პასუხი.

სახლში წასვლა დავაპირე, მაგრამ ამ დროს სკოლა მომაგონდა.

— აქაც შევივლი ბარემ!—ვსთქვი ჩემთვის საკმაოდ ხმამაღლა...

დასვენება იყო... შევეკითხე მასწავლებელს:

— თქვენი გვარი?

— ცინცაძე;

— თქვენი?

— ცინცაძე.

— თქვენი?

— ცინცაძე...

ამდენ ხეტიალში კიდეც მომშივდა და წითელ სასადილოში შევიარე.

— თქვენი გვარი? — შევეკითხე ფულის გადახდის დროს მოლარე ქალს.

— ქეთო ცინცაძე! — მომიგო მან.

— ჩემს საქმეს საშველი მაინც არ ჰქონია! — გავიფიქრე ჩემთვის და სახლში წავედი.

დავსწერე ეს წერილი და წავიღე ფოსტაში.

— თქვენ რა გვარი ხართ, ამხანაგო? — შევეკითხე ფოსტის მოხელეს.

— მე ცინცაძე გახლავარ- რა გნებავთ?

— არაფერი... ისე... ამ წერილის გაგზავნა მინდოდა, მაგრამ რაკი ცინცაძე ყოფილხარ ვერ განდობ... ისევ სჯობია — ხიდისთავიდან გავგზავნო...

და ამ წერილს, ტარტაროზო, ხიდისთავიდან გიგზავნი.

ციგანი.

# საიდუმლო ბარათი

1.

ერთ საღამოს ტრესტის გამგემ
კოხტა ქალი გააცილა
და როდესაც შორდებოდენ,
ხელზე კოცნით უთხრა ტკბილად:

— როდის ვნახოთ ერთმანეთი?
— ახ, არ ვიცი... გეტყვი მერე...
— არა, ეხლა გავარკვიოთ:
— გინახულებთ, დამიჯერე...

ამ სიტყვებზე გამგის ბაგეს
კვლავ მიეკრა ქალის ხელი,
და სხეულში ათამაშდა
ტკბილი ვნების ჟრუანტელი...

2.

წუწკი კაცის სახელი აქვს.
ტრესტის გამგეს ამირინდოს,
ვის ეტრფის და ვის რას ეტყვის,
აღარ ახსოვს ხშირათ თვითონ,
რადგან საქმის კაციც არის:
იქ - თათბირი,

აგერ - სხდომა,
სხვაგან კიდევ მოხსენება,
საზოგადო საქმე, შრომა.
გუშინ სიტყვაც კი წარმოსთქვა:
გმობდა ვიღაც ბიუროკრატს,

და როცა ის მეტყველებდა,
ფილოსოფოსს გავდა სოკრატს...

3.

საქმეებიც ბრძნულად მიჰყავს,
მისი ტრესტი ნახეთ, აბა,—

ყავს მდივანი მას პირადი,
კოხტა ქალი, მოკლე-კაბა;
ყავს „ზამი და „ზამის“ ზამი“,
„ზავატდელი“ ბარე ათი,
მემანქანე „მადონები“,
გულს მოხიბლავს ეშხი მათი.
შემოსულებს მაიკო სწერს,
გასულ ქაღალდს—ტურფა მაკო,
ვინც „ზაკანციის“ გულსაკლავად
თვალებს ნაბავს, ვით „უმანკო“.
ერთი სიტყვით, „საბქალებიც“
აკეთებენ საქმეს გულით:
დუხი, პუდრი და პამადა

ყველას მოაქვს რედიკულით.
სწერენ გასულს და შემოსულს,
ბეჭვდენ საქმეს ყოველ წუთში,
და ყოველ წამს ილებავენ
წამწამებს და წარბებს ტუშით.

4.

დიდი კაცი მუდამ დიდი
საქმით არის დატვირთული
და იტაცებს ათასგვარი
საკითხები ძნელი, რთული.

ტრესტის გამგეც დიდკაცია
და რომ ტრესტი „რიგზე“ მართოს,
ხშირად უყვარს კაბინეტში
„საქმეებზე“ ფიქრი მარტო.
ამ დროს მასთან ვერვინ მივა,
კაბინეტის კეტავს კარებს,
დიდ ბლოკნოტზე ხაზავს ციფრებს
და არავის არ იკარებს.

და ასეთ დროს მის შიკრიკთან
გამოცხადდა ვიღაც ქალი,
მოკლე-კაბა, თმაკულული,
ტან-ალვა და ბროლ-ფიქალი.

5.

ქალის ნაზი მეტყველება
სირინოზის გავდა ჰანგებს,
კაბინეტთან შიკრიკს კითხა:
— შეიძლება ვნახო გამგე?
— არ ღებულობს!
— უნდა ვნახო!
— ჯერ მე უნდა მოვახსენო
— **აბა, ჩქარა...**

.....:::::::::::::

— არ სცალია.
— ჩტო მნე დელატ?
ღმერთო ჩემო...
ია პო დელუ... მეჩქარება,
სთქვა და რაკი ვერას გახდა,
შიკრიკს ხელი გაუწოდა
და ამ სიტყვით მას მიმართა
— ჰა, კონვერტი, გამომართვი,
გამგეს მისცემ შენ ამ ბარათს...
თან უთხარი, მინახულოს
ან და პასუხს ვუცდი ჩქარა.

6.

ხელად მოლბა შიკრიკიც და
ბევრი აღარ დაახანა
და ბარათი ტრესტის გამგეს
კაბინეტში შეიტანა.
— პასუხს გთხოვენ...
— არ მცალია.
ჴადი, მმართველს გადაეცი.
— თქვენს სახელზე გადმოგზავნეს..
— ვოტ ჩუდაკ. ხეპრე, ბეცი,
გეუბნები: არ მცალია.
შიშით ეცა შიკრიკს ელდა
და ბარათით უხმოდ ხელად
მიირბინა „უპრავდელთან“.

7.

ვინ არ იცნობს „უპრავდელებს“,
რომ წეს-რიგის არის ხალხი,
და როდესაც გამოართვა,
რომ არ ქონდა ბარათს დაღი
შემოსავლის, არც ნომერი,—
აიჩეჩა ბრაზით მხრები
და შიკრიკი „ნაჩკანცისკენ“
გაამგზავრა დამუქრებით.
„ნაჩკანცი“ კი-თვალშუქურა,
ახალგაზრდა, ქვრივი მერი—
ამ დროს რომანს კითხულობდა
გატაცებით, გულის ძგერით.
— თქვენთან საქმის ქაღალდია
და მიბრძანეს გაატარო;
— წადი, საქმის მწარმოებელს
მიუტანე-მეგობარო.

8.

მსწრაფლ შიკრიკმა „საქმე“ საქმის
მწარმოებელს მიუტანა
—არც რიცხვი აქვს, არც ნომერი,
დაიძახა წყრომით მანა:
დო სიხ პორ ნე ნაუჩილსა
ნუ მოგივა ახლა გული...
მიუტანე რეგისტრატორს.
სთქვა და გახსნა რედიკული.
რეგისტრატორს, კოპწიაძეს
ყველას ეტრფის ყველა ამბობს,
რომ მას გამგე „ეხუმრება“
თან დასდევს და „სუხარს ახმობს“.
ქალიც ფიქრობს: „მე გახლავარ
კოპწიაძე კოხტა ლილი,
მალე მითხოვს ცოლად გამგე
და მექნება ბედი ტკბილი.
გამგე მე არ მიღალატებს...
ის არ არის სხვისამებრ თარსი“.
და ჩასწერა ამ დროს წიგნში
შემოსულის შინაარსი:
**ტრესტის გამგეს-ამირანდოს.**
„მოგიკითხავ, ჩემო გვრიტო,
სულიკო და საყვარელო,
ჩემი გულის მარგალიტო.
ამ საღამოს შვიდ საათზე
ალექსანდროვს ბაღთან გელი,
გკოცნი კოკობ ულვაშებში,
„შენი ტურფა“, „შენი ლელი“.

10.

აკანკალდა, ვით ფოთოლი,
გამწარებულ ლილის ხელი...
რას იზამდა?.. წესისამებრ
დააწერა რიცხვი, წელი,
ნომერი და, სამსახურში
როგორც იყო, შემდეგ წესი,
გადავიდა ეს ქაღალდი
ლილისაგან მერის ხელში;
მერიმ პავლეს გადუგზავნა,
პავლემ-პეტრეს,
პეტრემ-ლიას,
ლიამ-თინას
და ბოლოს ძლვნად
გამგის ხელშიც მიაღწია.
სახტად დარჩა ამირინდო...
ყველგან გახდა მოდებული
ამბავი, რომ დღეს მას ქონდა
პაემანი დანიშნული.

მედუზა.

# ხულოს კლუბში

2

დაკეტვენ და არ იღება,
კვირაში არცა ორჯერა.
მას თუ კარები ჰკიდია,
ეს აქ არავის არ სჯერა.
ამბობენ: „კლუბი გამგემა
დაჰკეტა იმისათვისო,
რომ ამ ზამთარში დარბაზი
ვირთხებმა მიითვისაო“.
გაზეთები და წიგნები
მათვე სჭირდებათ ლოგინად
სამკითხველოში ცანწორამ
ეხლახან მოილოგინა.



პიანინოზე უკრავენ
მემუსიკენი ვირთხები..,
თუ ვის ეკუთვნის გაჯორვა,.
ტარტაროზ თვითონ მიხვდები.

ვახმახ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამგლოვიარო განცხადება

ერთ საღამოს ვარლამ სულგუნაშვილის ფართოდ და მდიდრულად მორთულ ბინაში სრულიად მოულოდნელად ჩამორეკა გლოვისა და მწუხარების ზარმა.

ვარლამ სულგუნაშვილს გარდაეცვალა ერთად ერთი ცოლისძმა და წარსულში მისი არა ერთხელ განსაცდელისაგან მხსნელი და მფარველი ახლო ნათესავი.

ქაიხოსრო კოსროშვილი ანუ გენერალი კოსროევი, ეს ყოფილი რუსეთის იმპერიის მთელი ერთი კუთხის რისხვაც იყო და ამომავალი მზეც. ადმინისტრატიული ძალა-უფლების სათავეში მდგომი, ის მთელი ოფიციალური ცხოვრების წარმომადგენელიც იყო იმავე დროს. არა ოფიციალური, არალეგალური ცხოვრების ყველა ძაფებიც ხომ მის ხელში იყრიდა თავს. ერთი სიტყვით, იდგა კაცი ისეთ მაღალ საფეხურზე, რომლის ზევითაც შესაძლოა კიბის ერთი თუ ორი საფეხური კიდევ არსებობდა, მაგრამ გზა იმათკენ დანარჩენებისათვის უკვე ყველასათვის იყო მოჭრილი და გენერალ კოსროევის ელვარებით დახშულ-დაბნელებული.

ვარლამ სულგუნაშვილი სრულიად მოულოდნელად გახდა კოსროევის სიძე. ამ უკანასკნელის და, რიფსიმე, და სულგუნაშვილი ცხოვრებამ სწორედ ცხოვრების იმ მეორე პოლიუსზე შეახვედრა ერთმანეთს, რომლის პირისპირ საწინაალმდეგო მხარეზედაც კოსროევები იყვნენ გაჯგიმულნი. არალეგალურ პირობებში რიფსიმე და ვარლამი ერთმანეთს დაუახლოვდენ და კიდეც შეუღლდენ. წარჩინებულ ცოლისძმას ბევრი უსიამოვნება ჰქონდა გამონაცადი მოუსვენარი სიძისა და „უწბილარი“ დისაგან, მაგრამ რაღა გაეწყობოდა? უნდა ეთმინა... პირველ ხანებში ანუ უკეთ ერთ-ორ შემთხვევაში მაინც თავისი ყოვლის შემძლე ხელიც კი უნდა გაეწვდინა მათთვის, განსაკუთრებით — სიძისათვის. და ეს ასე უნდა ჩაედინა „ქვეყნის“ დასანახავად მაინც, სახელისა და ელვარების კიდევ უფრო მოხვეჭისათვის...

მაგრამ ადამიანს მუდამ „ხაჭაპურის ჭამაც კი მოსწყინდებაო“, ნათქვამია. გენერალ კოსროევსაც მოსწყინდა და მობეზრდა მუდამ ვიგინდარა სიძის მოწყალისა და მოსარჩლის როლში გამოსვლა. მან ერთ მშვენიერ დღეს ხელი ჩაიქნია და განაცხადა: ტოლი რომ ჩექმის ყელზე დაისვა, უეჭველად თავის კოსრომდე აცოცებას და იქ წამოჯდომას მოინდომებსო“. და თავისი პატიოსანი კოსროს „ფაქიზად შემონახულება“ ამჯობინა უპატიოსნო სიძის მესამედ თუ მეოთხედ დახსნას. გენერალის „ამბიცია“ მოითხოვდა ამას და კოსროევმაც არ უღალატა თავის ბრწყინვალე კარიერას.

მაგრამ ყველა კარიერას ხომ თავისი ბოლო აქვს. კოსროევის კარიერაც ჯერ ჩეკის სარდაფისა და შემდეგ მეტეხის ციხით დასრულდა.

რამოდენიმედ ბედსა და უფრო მეტს კიდევ თავის „ულირს“ სიძეს უმადლოდა კოსროევი იმას, რომ ყოველ შემთხვევაში მაინც ასე იოლად გადარჩა. თავი მამისეულ სოფელსა და იქ ჯერ კიდევ დარჩენილ კერას შეაფარა და მითაც მადლიერი იყო თავისი დისა და განსაკუთრებით — სიძის, რომელსაც საკმაოდ მაღალი ადგილი ეჭირა ახალს წყობილებაში და იქიდან უწევდა ახლა სამაგიერო მფარველობას. განსაკუთრებით კი — და სწყალობდა ძმას.

ამის შემდეგ სიძე — ცოლისძმის ვითომ თითქმის ერთნაირი შერიგებაც კი მოხდა. ერთნაირ დათმობასა და ძველ ცოდვათა დავიწყებასაც კი მიეცა ადგილი და ნათესავიზაციის გზით პირველმა უკანასკნელის რეაბლიტაციაც კი სცადა. მაგრამ ყოველივე ამან, რა თქმა უნდა, ჩაილუღლის წყალი დალია, ერთ საღამოს სიძის ოჯახში ცოლის ძმის მიერ მირთმეულ ჩაის შემდეგ, როცა სულგუნაშვილის ამხანაგებთან საუბარში ძველი ტრადიციების ერთგულმა კოსროევმა თავი ველარ შეიკავა და უნე-

# სოკო თუ კულაკი

ნახ. დონის.



რადგან ძნელია ამ სოკოსგან „ამის“ გარჩევა,
ორივეს შვენის წიხლის კვრა და ისე წაქცევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეგობრული შარჟი

**კ. ფოცხვერაშვილზე**

ნახ. კანის



**ძველი კოტე** (ახალ კოტეს):—აღარ ვიცი, „მე“ ვარ „შენ“, თუ „შენ“ ხარ „მე“.

ბლიეთ წამოაყრანტალა ზოგი რაშ თანამედროვე თვალსაზრისით მიუღებელი ცნებანი.

სარისტიანმა სიძემ იგრძნო მოსალოდნელი „უსიამოვნება“ და კოსროევიც, რომელმაც ამ უკანასკნელ ხანებში უხშირა სიძის სახლში სიარულს, თანდათან თავიდან ჩამოიშორა. ცოლი ერთხანს ეწინააღმდეგებოდა ამაში ქმარს, მაგრამ ოჯახისაა და „კეთილი ცხოვრების“ ინტერესებმა ბოლოს სძლიეს ძმის სიყვარულსა მისი დაცვის განზრახვაში წინწამძღვანებულ ნაძალადევი სირაინდის გრძნობებს და „ყოფილი ადამიანიც“ დაივიწყა სულგუნაშვილის ოჯახმა.

და აი, დღეს ამ უკანასკნელის ასეთმა მოულოდნელმა სიკვდილმა უცბათ ისევ გააღვიძა სულგუნაშვილების მეხსიერებაში ჩაჩქმალული ხსოვნა „ყოფილი კაცის“ და ახლო ნათესავისა.

დიდ მწუხარებაში ჩავარდნილ რიფსიმეს დიდის დაყვავებითა და დიპლომატიური ხერხებით: თუ დარცხვენით თუ დაშინებით ძლივს აჩერებდა და აშოშმინებდა თანამგრძნობი ქმარი.

გაზეთში კი უნდა გამოვაცხადოთ მაინც, აი!.. გულ ამოსკვნილი ზლუქუნითა და ცრემლების ღაპა-ღუპით მოითხოვდა რიფსიმე ქმრისაგან ამას, როგორც ყველა დათმობათა უექვო საზღაურს, როგორც თითქმის უმნიშვნელო კომპენსაციას.

მაგრამ სწორედ ეს გაზეთში გამოცხადება იყო, რაც იყო! სწორედ ამისი ეშინოდა და, ეფიქრებოდა ფრთხილსა და დაკვირვებულ სულგუნაშვილს.

— ყოვლად შეუძლებელია, რიფსიმე!... რას იტყვიან ამხანაგები? დავიღუპებით... ბავშვები მაინც შეიცოდე... ხუთი ერთი პეორის მიმდევნო ქალ-ვაჟი ჰყავდათ სულგუნაშვილებს;გვრიტებივით მოვლილები, დაპურებულ - დამოსილები, ყველა სწავლასა და წარმატებაში მყოფნი, თითქმის ნებივრობაში შესულნი...

და რიფსიმესაც ძალაუნებურად მოუხდა ბოლოს და ბოლოს დათმობაზე წასვლა... დარდი და თავმოყვარეობის შელახვით გამწვეული სინანულში ქალმა მეორე დილით მთელ წინა ღამის განმავლობაში ჩუმად საძილო ოთახში დაღვრილ ცრემლთა ნიაღვარს გაატანა თან...

გავიდა ის დღე... მეორე..; მესამე და სულგუნაშვილები არც დაკრძალვის დღეს ფიქრობდენ თავიანთ ბინიდან დაძვრას. ყოფილი გენერალი და ადამიანი სასაფლაომდე მისაცილებლად ისევ ყოფილ ადამიანებს რჩებოდა.

მაგრამ სწორედ იმ საღამოს, როცა ვარლამ სულგუნაშვილი რაღაც ცოტა აღელვებული და ამდენადვე შეშფოთებული დაბრუნდა სახლში, უცბათ მიუბრუნდა თავის ჯერ კიდევ გლოვის ცხოველი გავლენის ქვეშ მყოფ ცოლს, მხარზე ხელი დაჰკრა და თვალებიდან რაღაც უჩვეული ელვარების დაკვესებით დასძახა:

— თანახმა ვარ, რიფსიმე, გამოვაცხადოთ გაზეთში!... — მაგრამ დაგვიანებული რომ არის?... ან რით ·აიხსნება ის, რომ..;

— არა უშავს... მე უკვე მზად ვარ, რათა სამგლოვიარო განცხადებას ხელი მოვაწერო... გამოსვენებასაც დავესწროთ...

და ვარლამ სულგულაშვილს, სახალხო კვების კავშირის პასუხისმგებელ მუშაკს, ამ სიტყვებზე ერთი ისეთი ოხვრა აღმოხდა მკერდიდან, თითქოს „დაშორებული“ ცოლის ძმა და „ყოფილი ადამიანი კი არა, მკვიდრი ძმა და ერთგული ამხანაგი მოჰკვდომოდეს...

რა თქმა უნდა, სამგლოვიარო განცხადების რედაქციაში მიტანაზე თავიც კი არავის შეუწუხებია. არც დაკრძალვის დღეს დაძრულან და და სიძე ადგილიდან;ქმარში მომხდარ საბედისწერო გარდატეხას წონასწორობა ისევ ცოლის მიერ შემოკრებილმა კეთილგონიერებამ შეარჩინა. რადგან ყოველივე ეს დამატებით მართლაც რომ მომხდარიყო, მაშინ, უკვე სულგუნაშვილს მარტო თანამდებობიდან გადაყენებას კი აღარ აკმარებდენ, თავისი ოდესმე მაღალ ხარისხოვანი ცოლის ძმის გამო, არამედ კიდევ უფრო „უსიამოვნო“ და სამწუხარო სხვა ახალ სამგლოვიარო განცხადებას მისცემდენ, ალბათ, მათ ცხოვრებაში ადგილს. **ონისიმე.**

ეროვნული

## მოთმინების ფიალა რომ აივსო...

ნახ. სურხაიასი



ესე იგი, რომ ვერ ეღირსა ახალ მალაროს მუშათა სამრეცხაოს გახსნას, აიღო და დაზოგილ თეთრეულს გადაუძახა წყლით სავსე ვარცლში.

## მტრების კარებთან

ქატოს გულის ნეტარება, მისი სათაყვანო;
მეტეხში ზის დარცხვენილი გამფლანგველი ვანო!
დიდი ხნიდან კატოს და მას უყვართ ერთმანეთი,
ისევ ახსოვთ კოცნა, ხვევნა, ღამეები თეთრი.
ვანო გამგედ მსახურობდა და მოლარეთ კატო,
ხშირად ორივე მტკვრის პირად დაუნახავთ მარტო.
მუშტაიდშიც ქონდათ ჩუმად პაემანი ხშირი,
და ამრიგად სალაროს ჩუმად გაუთხარეს ძირი.
მაგრამ ეხლა ციხეში ზის გამფლანგველი ვანო,
კატოს გულის ნეტარება, მისი სათაყვანო.
კატო კრძალვით კარებთან დგას, უნდა ნახოს იგი,
და ღრმად ხწამს რომ დღეს მასაც ხვდება ნახვის რიგი.
აგერ მოდის აკვირინე, ვანოს ნაღდი ცოლი,
შვენის შავი წამწამები და თვალები ბროლი.
მასაც უნდა ნახოს ვანო, ახალგაზრდა ქმარი,
ის ციხეში ეგულება, არ ასვენებს ჯავრი.
უცებ კატოს მოკრა თვალი... გააჟრჟოლა ტანში,
ზურგზე ქოლგამ გაიელვა... ხელი გაჩნდა თმაში.
— შენ ოჯახი დამიქციე... დამიღუპე ქმარი,
შავმა ჭირმა ამოგაგდოს... ცხვირით გენგრეს ძმარი.
ამ სიტყვებით იგი კატოს ებღლვნა, როგორც ქარი,
მიეშველენ..., გააშველეს.. მოჩხუბარი ორი;
ემატება ტუსაღებს და მზეც იცინის ცაზე;
ნეტა, ვანოს ახლაც ხიბლავს კატოს სილამაზე?!

 იანო.

## „ახალი ვეფხვის ტყაოსანი"

(საბურთალოდან)

ტარტაროზ, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები,
ამბავი ბევრი გაუწყო, გული სიმართლეს ვაწები.
მრავალფერია ცხოვრება, ამასაც დამემოწმები.
ბევრის რამის ვარ მნახველი და უფრო მეტის მომსწრები.
საბურთალოსა ამბები არს შენგან საცოდნარია,
კულტმუშაობა მის კლუბში რაღაცამ არივ-დარია.
ხშირად გაისმის უმიზნო „რიმ და რიმ და დადარია",
— „ძმაო, გადაჰკარ, დალიე ღვინოა, არა ძმარია"—
დავითს პორტფელი უპყრია, ბიჭია შვენის კარგადა,
თუ იმას შიგან რა უძევს, ვინ უწყის ეს ამ ჟამადა.
ხშირად გულბოყვსა იტკივებს, ვაი თუ არის ავადა
კრიალოსანი კარგია გასართობ და საგადა...
მისტერ კოტეს ვხედავ ხშირად, მიდის, მოდის გზას მგზავრულად. —
იულია ბლარსად სჩანს, შემოგქცერის, ალბად, მტრულად.
კულტსაქმეზედ არვინ ცდილობს, ამადა ვარ გულნაკლულად.
მარტო რა ქნას ალიოშამ, თუმც კი ცდილობს ძველებურად.
ჰე, ტარტაროზ, მე ამბავი მოგახსენო კვლავცა კიდე.
სამკითხველოს მე ამბები გულსა შინა ჩავიკიდე.
კედლის გაზეთს იქ ვერ ვხედავ, ლამის ერთსა შევაბერდე.
და ამხანაგ კატოს მინდა მე ამ მიზნით გადუმტერდე.
სდგას ერკოპი, მუშათ თვალი, მაგრამ არ სჩანს ჩვენი ჩიტო,
რომ ფანჯრიდან მის ჭალარას შეუხედო, შეუჭვრიტო,
ო, თუ ვცოდავ მაპატიეთ, მინდა საქმე შორს გავჭვრიტო
ერკოოპის უტკბეს სიროტზედ რომ არ დაჰკრა დიპლიპიტო?
ჩვენი შაქროს ორიანტი ბედმა წაღმა მოაბრუნა
და სასტუმრო „ოტელ მარსელ" გააკოტრა, გახუნა,
ღირებული ორ შაურად კერძი ოთხად მოგვაცდუნა,
მიკვირს: წესთა კომისია ასე რაღამ მოადუნა?
აქეთ ესა, იქით ისა, სხვა მრავალი ამბად რბოდეს,
საბურთალოს სხვა ამბები მე საწერად მომიხმობდეს,
თავმან ჩემმან, ყოველივე თავი შენი მინდა სცნობდეს,
რომ ტკივილთა განსაკურნად უმალ ჩვენკენ გამორბოდეს.

დონ-ერეა.

## პატარა ხულიგანი

ნახ. რევაზის



— როგორ გაბედე შეხტომა ტრამვაიზე შე ვირანო, შენა?!

— აბა შეხტომა როგორ შემეძლო, როცა ხუთი წლისაც არა ვარ ჯერ... მე მხოლოდ ნელ-ნელა ავცოცდი.

# ბუხგალტერი ბალანსიძე

მე გახლავართ, ბუხგალტერი ბალანსიძე.
ვმსახურობ ოცდაათი წელიწადი და ყოველ დღე პრაქტიკას ვიძენ.

საქმე მაქვს პატიოსან ციფრებთან, დებეტ-კრედიტთან.
(ტვინში მაზოლები მაქვს და გონება გამოკრეტინდა)
ვმსახურობ ოცდაათი წელიწადი ამ დარგზე,
(„სჩოტზე", როცა ვარახუნებ, მგონია, უკრავ თარზე,
რა ვქნა, არა მწამს კულტურა, ხელოვნება, პოლიტ-ეკონომია.

(ბუხგალტერი და ასეთი საქმე, ვის გაუგონია?..)
ან და მუსიკა. ოპერა, თეატრი,
(ჩემს ფიქრებს კალკულიაციის ურემი მიათრევს)
მე გახლავართ, ბუხგალტერი ბალანსიძე.
არ შემეშლება ანგარიში, რაზედაც გინდა, დამაფიცე.
ჩემს სიცოცხლეში შემომივლია ასიათასი დეპარტამენტი
და უფრო ბევრი, უფრო მეტი
ბანკი და ხაზინა.
(ცხოვრებამ ბევრი მწარე მასვა, ბევრიც მაცინა)
დღემდე არავის არ მოუთხოვია კითხვა ჟურნალის, წიგნის,

ჩემი ცხოვრება იყო ოთახში და დავთრების შიგნით.
იანვარი დგება ძალით უნდა გამომაწერინონ გაზეთი
(გინახავთ, კაცო, ახირება ასეთი?-
გაზეთს მოჰყვება „ტარტაროზი" ყოველი კვირით,
სადაც ათასი ოხერი ჰყვირის:
ბიუროკრატიზმი. პროტექციონიზმი და ათასგვარი „იზმი"

(გარეცხეს ტვინი ამდენი კლიზმით).
მე გახლავართ ბუხგალტერი ბალანსიძე.
ორმოცდა ხუთი წლის ვარ და ეხლა გავხდი ნაღდი სიძე.
მართალია, ომაში შემეპარა ჭაღარა,
წლების სიმრავლემაც წელში ცხრანაირად გამხარა,
მაგრამ . სპეცგანაკვეთით ვიღებ ჯამაგირს
(ჩემი ყმაწვილი ცოლიც დაეჩვია ჩემთან ჭამას დიდს)
ფული, ფული და ფული, ეს სამი რამეა კაცისთვის საჭირო.

ჩემთვის საკმარისია, კაბინეტში კნოპკას ხელი დავაჭირო.
რომ წინ მომერთვას ხელად ავანსები!
და მეც ხომ კნოპკას ხელით ხშირად დავაწვები!..
ასე ვცხოვრობ მე, ბუჰგალტერი ბალანსიძე,
ენა მაქვს გამგის საალერსოთ მაგიდის სიგრძე.
შემორიალის წიგნების გადაშლას, „გლავბუხი" როცა ვინებებ,
აცეკვდებიან ციფრები, როგორც ოპერაში ტანშიშველი ბალერინები
იცით, რა არის ცხოვრება, ან დრო, ან სივრცე?
მე გახლავთ ბუჰგალტერი ბ—ა—ლ—ა—ნ—ს—ი—ძ—ე!.

ზორბა.

# ზესტაფონის სასადილოებში

ნახ. დონის.



ძაღლი (მოსადილეს):—სადილი ისე სჭამე, რომ ფეხი არ შემოსდგა მაგიდის ქვეშ და ბინის ფართობი არ შემიმციროს; თორემ ფეხებს მოგჭამ!

## გამოიცანით
### (ბასილეთი, გურია)

მედროვეა, გაიძვერა,
ჩარჩობაში გამოწვრთნილი.
ვერ მოსძებნით — კაცი იყოს
ვინმე მისი კმაყოფილი.
უყვარს სხვისი დამცირება
„ტარიელად" მოაქვს თავი;
მას რომ ჰკითხოთ, — არვინ არი
მისებრ კარგი სანახავი.
თუ დასჭირდა, სხვა კაცია,
ტკბილი სიტყვით დაგამშვენებს,
თან ლაქუცით მოგხვევს ხელებს
ქებით აღარ მოგასვენებს.,.
და ამგვარი მოქნილობით
შეაბრალა ხალხს მან თავი.
ბოლოს მოსდგა და სუყველას
მთლად გააძრო ზურგზე ტყავი.
ღობე-ყორე ძრომაც უყვარს,
სხვის ბინაზე სიარული.
(ერთ საწყალ გლეხს თვის ოჯახზე
აუცრუა კიდეც გული).
„მაგრამ მუდამ ვის შერჩება"
ანდაზაა ერთობ ძველი.
მიჩიხეს და შესდგენ ზურგზე,
დაუუეუეს მაგრად წელი.

„პომპოლიკი".

# სტუდენტთა სასადილო

ნახ. დონის



პირველი კერძი მაშინ მოუტანეს, როცა იგი პირველ კურზე იყო.



ხოლო მეორე კერძი—როცა უნივერსიტეტი დაამთავრა.

# ჯოჯოხეთის კუთხე



## ეს სოფელი მატანი ბევრის არის ამტანი

იტყვიან: „ვაი გლახა თავის პატრონის ფეხებს, თორემ თავს რა უჭირს“ო.

სწორედ ასე ითქმის სოფ. მატანსა (კახეთი) და მისი ალმასკომის თავმჯდომარეზე. (თავად იგულისხმება ალმასკომის თავმჯდომარე, ხოლო ფეხებათ — სოფელი).

**„ამოდენა სოფელში არ არის ექიმი. (სამაგიეროდ, არიან ექიმბაშები და ქადაგები). არ არის კლუბი, რომლის მაგიერობას არსულებს ბოსელი, (სადაც იმართება, ისიც იშვიათად, წარმოდგენა)... გზებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია“.** (ბნელხეველი).

რას შვრება ალმასკომის თავმჯდომარე? სძინავს?



**დლეხები:** — გაიღვიძე, კაცო და...

**ბალლინჯო:** — **სსს! ჩუმად. მე გავაღვიძებ ჩვენი ალმასკომის თავმჯდომარეს, თორემ თქვენ გაგიჯავრდებათ!**

ალბად მაშინ გაიღვიძებს, როცა საბჭოთა გადარჩევები მოხდება... ცოტა დრო დარჩენია!

## ოზურგეთის ხანძარი — ცხენი ველარ დავსძარი

ოზურგეთის ცეცხლის მქრობელ რაზმს ჰყავს ცხენი, რომელმაც ისეთი გულგრილობა და შეუგნებლობა გამოიჩინა ელსადგურის ხანძრის დროს, რომ გაჯიუტდა:



**— ფეხსაც არ მოვიცვლი, სანამ არ გამაძღებთ!..**

მართალია, ასეთ გაჭირვების დროს ასეთი საქციელი დაუშვებელია და გასაკიცხი. მაგრამ მოთხოვნილება სამართლიანია.

## დაუკეტეს წყალი, ყველა არის მთვრალი

ჩაქვის მიკიტნები ღმერთს ევედრებიან, რომ დიდხანს არ გაიხსნას წყლის ონკანი, რომელსაც ბოქლომი ადევს.

> **რესტორანში შევლენ, გადაჰკრავენ ღვინოს...**
> **სმაში მოდის ხოში — ფართოდ მოილხინოს.**
> **(ბ. ზაქაროველი.)**

ჩვენს შეკითხვაზე: „რატომ თვრებით?“ — გვიპასუხეს:



**— გაგვიხსენით წყალი, არ ვიქნებით მთვრალი.**

მოთხოვნილება სამართლიანია.

## შვილი კონტროლიორი... აქ ვინ სჭამა ნიორი?

სიხარულის გამოსახატავად ერთ-ერთი კარგი საშუალებაა ცეკვა.

ერთი უცნობი პროფესორი-ბიოლოგი—**არავინ** (გვარია) ამბობს: **„სიხარულის დროს ძაღლიც კი ცეკვობს“.**

ძაღლი კი არა, ქმარშვილიანი მანდილოსანიც კი აცეკვდება, როცა მას ქმარი საკაბეს უყიდის.

ბავშების აცეკვება ხომ ორკაპიკიან ირისითაც შეიძლება.

ასე და ამგვარად სიხარულს დიდი მნიშვნელობა აქვს ცეკვის აღორძინებასა, წინმსვლელობასა, გაუმჯობესებასა და ერთი სიტყვით, პროგრესის საქმეში.

სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა (ალბად) განსახკომის ხელოვნების მთავარი სამმართველო, როცა „დედასა, მამასა და ნათლიმამასა*) კონტროლიორად უნიშნავდა ფერდინანდ ინოჩენცის“.

ჩვენებური ძველი თქმულება ამბობს: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე“.

ხელოვნების სამმართველო კიდევ უფრო შორს წავიდა. ის არც ისე იოლად ეკიდება საქმეს. მარტო დედისა და მამის ნახვა არ კმარა... საჭიროა ნათლიმამას ნახვაც.. და ძველ თქმულებაში ასეთი ცვლილება შეიტანა: „დედა ნახე, მამა ნახე, ნათლიმამა ნახე და მათ კანტროლიორად მათი შვილი გამონახე.

საზოგადოდ, კონტროლი და რევიზორი არასასურველი სტუმარია და მათი სტუმრობა ყოველთვის უსიამოვნებას იწვევს.

და „ცეკვის ტრესტის“ მესვეურთათვის რომ **ნამდვილი** კონტროლიორი დაენიშნათ, ხომ წაუხდებოდათ „დედასა, მამასა და ნათლიმამასა“ ცეკვის მადა (ხოში)?! განა ისინი მაშინ ცეკვის ხალისზე იქნებოდენ? ეს კი გამოი-

---

*) დედა — პერინ, ბალეტის სტუდია აქვს; მამა— ინოჩენცი, ცეკვის სკოლის ხელმძღვანელი, ნათლიმამა— ალექსიძე, ცეკვის სკოლის გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვევდა ცეკვის ხელოვნების დაქვეითებას, დაკნინებას. ეხლა კი... „დედა, მამა ნათლიმამა“ გახარებულნი კონტროლიორით ისეთ დავლურს უვლიან, რომ ხელოვნების სამმართველოს მესვეურნენიც აჰყვებიან.

შვილი რომ კონტროლიორად დაუნიშნოთ, არა თუ ცეკვის მცოდნენი, დახელოვნებული მოცეკვავენი აცეკვდებიან სიხარულის გამო, — არამედ უშნო, ულაზათო და მოუხეშავი გამფლანგველიც იცეკვებს ფოკსტროტსა და ლეკურს შვილის აკომპონიმენტზე, თუმცაღა „თამაშობას ხერხი უნდა დათვმაც იცის ძუნძულიო“.

## „ბუხრის თავი“..—უხურს თავი

გასამხედროება სავლეს (სოფ. ფუთი, შორაპნის მაზრა) ისე იტაცებს, რომ სოფელში არ არის ისეთი ბუხარი, რომელსაც თავში არ მოხვდენოდეს მისი რევოლვერის ტყვია.

როცა სავლეს ტყვიით განგმირული ბუხრის თავი სახლის სახურავზე ინგრევა და მტვერს აყენებს, აღტაცებული და გამარჯვებული სავლე სიამოვნებითა და სიამაყით ამბობს:



— დედას ვუტირებ ჩემბერლენს!

ჩემბერლენის რა მოგახსენოთ.. ხოლო შეშინებული ბავშვები რომ სტირიან, ეს კარგად ვიცით.

## „მკვდარი სულები“... გლომად ფულები

გოგოლის გმირი ჩიჩიკოვი, რომელიც მკვდარ სულებს ყიდულობდა (გოგოლის: „მკვდარი სულები), ბევრს ჰგონია, რომ შეთხზულია პოეტის ფანტაზიით და ის (ჩიჩიკოვი) სინამდვილეში არ არსებობდა.

ჩიჩიკოვები გოგოლის დროს კი არა, ეხლაც არიან. ნება გვიბოძეთ წარმოგიდგინოთ გასაცნობათ ნარაზენელი (ზუგდიდის მაზრა) ჩიჩიკოვი, ყოფილი „მოსე მწერალი“, ხოლო არსებული—შვიდწლედის გამგე.

„მეშვიდე ჯგუფში ცხრა კაცი
მას უზის, თითქოს ოცია.
ინსპექციაში ოცს ადგენს, —
ეს არის გასაოცია.
ჟურნალში ჩაუწერია
თერთმეტი „მკვდარი სულია“,
რომ ამით ჩვენსა მთავრობას
მეტი დააძროს ფულია.

(ლომკაცი).




მაგრამ ყველაზე უფრო საკვირველი ის არის. რომ სკოლაში „ნაბდით, ცხენითა და თოფით მობრძანდება“. (ნეტავი რაზე ნადირობს? ალბად „მკვდარ სულებზე“!).

არც მეორე (აბასთუმნის) შვიდწლედია უკეთეს მდგომარეობაში, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აკლია ლოცვა-კურთხევა მისი გამგისაგან, (ხუცესია).

# თვითკრიტიკა

**ამას წინედ ფოთის ნავთსადგურის ადმინისტრაციამ მოაწყო შემოქმედებითი საღამო, რომელზედაც გამოვიდენ თვით ადმინისტრაციის მესვეურნი და თავისთავზე წაიკითხეს ლექსები.**

ივანე ფირცხალავა

**სიხარულის** მთები, ვარსკვლავების ზეცა
მომეფინა გულზე, ამათრთოლა ჰეცა.
ბევრი უსახლკარო თავებს ლოდებს ახლის:
მე კი თბილად მფარავს სახელმწიფო სახლი.
მე ჩემს სახლსა ვყიდი, (მთავრობის მაქვს ბინა).
ფულით ვერ გავძღები მე და ჩემი ნინა.

ექვთიმე გაგუა

**ბედთან** დაუნდობელი გაგუა ვარ ექვთიმე.
მუშა ტყვილად მიჩივის: „გადმომხედე ერთი მე!“
ქონი მაკრავს მუცელზე, როგორც თეთრი ტყლაპია
სამსახურსა მას ვაძლევ, ვინც მაღირსა ყლაპია.

გრიგოლ გოჩილეიშვილი

**ბედაური** გრიგოლი კაპიტანი პორტისა
მოყვასი ვარ: მუშტ-ტკრივის და ასეთ ხლაფორთისა.
ახალ სახლებს „ვდარაჯობ“—არ ჩასახლდენ მუშები.

(ჰმ! ეგებ თქვენ გეგონათ—რომ არ გატყდეს შუშები!).

შიგ მუშების მაგიერ ჩავასახლებ ჩვენებსა,
და ყურსაც არ ვათხოვებ ხალხის „ბოროტ ენებსა“.
სახლს ჰქვია მუშის სახელი, სხვა რა უნდათ ნეტავი?!
კარგს სახლს ვერ შეეწყობა შავი პუშა“ მხვეტავი.

კოწია ცინცაძე

**ასე** დიდი კაცი ვარ—კანცუფროსი, მმართველი...
უვიცია, უზრდელი, ჩვენი მუშა ქართველი.
„ამხანაგოს“ მეტყვიან... გაგონილა ასეთი?!
თუ ზრდილობა „ვასწავლე“, მზად აქვთ კედლისგაზეთი.

კოწია ჩიქვაიძე

**კოწიაზე** უარესი რატომ ვიყო კოწია?
მასზე უფრო მე მიყვარს ლამაზები კოპწია.
ჩვენ სახელი ერთი გვაქვს... მე ვარ „ნაჩალნიკია“
მუშა როცა არ მომწონს მზად მაქვს მისთვის ხრიკია..

**ფოთელი.**

# კომუნარის ჩიბუხი

## მომავალი კინო-დადგმა მარჯანიშვილისა

ნახ. შანკოტაძის



— ისე ქაჩავს ეს წყეული კომუნარი ამ ჩემს თავს, რომ, მგონი ნაცარიც აღარ ჩასტოვოს შიგ.

# ჰაი გიდი, ნიკოლაი ვტოროი

ჩემმა მზემ, ასკარბლენიით რომ არ ვთქო, ამ ქვეყნის აბაროტის ვერაფერი შამიტყვია. ჰამა! ეს ფინთი, პრედჩუსტვენი სიზმრები რომ ტოჩნათ მისრულდება, რა იქნებოდა, რომა ისლუჩენია მამხდარიყო და ვეჩნათ სანატრელათ დარჩენილი გუშინდელი სიზმარი. ბესპრიკასნოვენათ ამსრულებოდა, ჰა!... ჰაი გიდი, ნიკალაი ვტაროი, ვორონცოვ დაშკოვ, როგორ ტოჩნათ იყავით! ჩემმა მზემ, გუშინდელი სიზმრის პრედსტავლენიას რომ ვშვრე ბი, ვასტორჟენი ვხდები, ჯიგარი ყალყზე მიდგება და სიხარულისაგან, ჰამ ჰელეთ მელეთი მამდის... გინდა დაიჯერეთ, გიდა არა. ჰამა, როგორი პიიძურწებოდენ, ნაბლუდენია, რომ მექნა, გადატანილი ასკარბლენიები სულ დაგავიწყდებოდა და ვასტორჟენი ტრევოგით, მუცელში ბესპრერივნი რასტვორი მაგივიდოდა. ჩემა მზემ, კლატვა რათ გინდათ, ნაინტერესნი რამე იყო; ჰამა, კინოში გადაღებული მაინც რომ იყოს, რისიახოტნიკები, რისი ფლანი, რისი ფსტანი, ერთი კარტინა კანკურენცას ვერ უზამდა. ჰამა, ყოველ კვირაში პავტარენია მექნა, ბესპრეროვნი ფროტელი ვიქნებოდი და ჩემისთანა გეურქები, თიფლის ქალაქში, ბესჩოტნათ გამოჩტებოდა, თორემა სავეცკი ვლასტზე ხომ რაზგოვორი ლიშნია... ჰაი გიდიჰ, ჰალალი არ არი ასეთი ისტორეცკი იავლენიის სიზმრათ დარჩენა! ჰამა, თქვენთვინაც იასნი რომ გახდეს, ყველაფერს თავიდან პადრობნათ ვთქომ და რასუჟდენია თქვენ უყავით.

— სუბოტნი დღე იყო, გუშინ რაღა. სალდაცკი ბაზარში, ფართე დაზგაზე ჰამ ზელენი გაშლილი მქონდა და ჰამ მე ვაჭრობდი, ჰამ მეზობლებს ვებნებოდი სავეცკი ვლასტის პიატი გადიჩნი ტიაჟოლი ტრიალიზაციის და ელექტროფიჩესკი ტეხნიჩესკი რაზვიტიის პლანებს. ვხედამ, ბაზარში ტრევოჟნი პანიკა ატყდა, ჰამ ხალხი გარბიის, შეთხელდა. გავიხედოთ, ნიკ[illegible] ბაზარში შამოვარდა, ჰამ შიშტოკით მაგრათ დაუფშტვინა, ვნახოთ, ვინცხა, სერ მუნდირში გამოხტა; არ იკითხამთ, ვინა? არ იკითხამთ? ბეპურაზი ვიყო, ვასპამინანიას რომ ვშვები, ჰამ მაზგავლი პარალიჩი მამდის. ხალხნო, ვორონცოვ დაშკოვი, ნიკალაი ვტაროის შიშტოკზე ჰამ კაპაკას ტანცაობდა და რაღაცას გრომკათ, ჰამ ნერაზბორჩივათ პავტარენიას უშვებოდა. ჰამ თლა სლუხათ გადავიქეც. მესმის: „კამუნისტი უდრალი"-ო... ჰამ უდრალეო, რომ გავიგონე, მომენტალნათ შავხტი ჩემს დაზგაზე და, ჩემმა მზემ, ნაინტერესი ლეზგინკა დაუარე. ჰამ ვყვირით, ჰამ ვცეკვავთ. იქეთ ვორონცოვ დაშკოვი კაპაკას, ჰამ აქეთ, მე ლეზგინკას. ვხედავ გადაღმა ქუჩაში კამუნისტები ბარგ მოკიდებული მიიძურწებიან. ასეთ ვასტოჟენი მომენტში რო ვარ, ვინცხა ნეზნაკომი ლიცო უკნიდან მამდგომია და ტრეოჟნათ ყვირის: — ყველანი წავიდნენ, ჰიდიან და შენ რაღას უხტუნავო. ჰამაც მიქაჩავებს, — მიშველეთ წამაყვანინეთო. ვხედავ, რომ შუტკები არ არის, მეც კამუნისტებს უნდა გამაყოლონთქო, მამენტალნათ მივატოვე ნიკალაიც, ვარანცოვ დაშკოვიც, ლეზგინკაც და მოვყევი აბიასნენიას: ძმებო, ნუ დაუჯერებთ ლოჟნი სლუხებს, გეორქას საბლაზნენიას ვერავინ უზამს და კიდევ უნდა ვეთქო: კამუნისტიჩესკი უკლონს ვერავინ დასწამებსთქო, რომა ვიღაც ბემურაზმა ვედრო წყალი ფათრეთში მამასხა. ჰამ თვალი რო გავალე, ვხედავ ხალხი შამამხვევია, ცოლი ფეფელო, ქირისუფლები, ჰამ გრომკათ ტირიან, ჰამ კრუგომ ნაბლუდენიას ვშვრები, ჰამ იმათ დავეძებ, მაგრამ ბან ჩუნეს? არავინა სჩანს. თურმე, ნუ იკითხავთ, დაზგასთან ჩამძინებია და სიზმარს მივცემივარ. მილიციელი, რომელსაც ბაზრის ასალაგებლად შიშტოკი მიუცია, წამამხტარვარ და ნიკოლოზათ მამჩვენებია, ჰამ კარაპეტას კოჭლი ბიჭი, რომელიც პილიციას კარმანჩიკობისათვის დაუჭირავს და ტუჟურკის ვარატნიკით მიათრევდა, ვორონცოვ დაშკოვათ მიმიღია. ჩემი მეზობლები თავიანთ ბარგ-ბარხარანას რომ მიზიდავდენ, კამუნისტებათ მამჩვენებია და ამ ვასტორჟენი კარტინაზე, ჰამ მეც რამეები დამიმატებია და სუფრაზე დაწყობილი წვანილეულობა ფეხით სულ დამისრესია.

ზარალს ვინ ჩივა, სირცხვილ-ნამუსი სად მახსოვს, ისეთი რაპეები მომიჩმახავს საველსკი ვლასტზე, რომა თუ დღეს არა, ხვალ ჩეკაში მაკრევინებენ თავს. ამ იავლენიას ასეთი აკანჩანია, რომ არა ჰქონდეს, ყოველდღე ჩავიძინებდი სალდაცკი ბაზარში და ცხადში თუ არა, სიზმარში მაინც გავისტუმრებდი ამ ბემურზ კამუნისტებს, მაგრამ რას ვიქ, როცა დადებულ ვადაზე გადაცილება აქაც არ შაიძლება...

უჩა ვალურია.

# ყულევი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობათა მიღება

**ჭიჭის, (ბათომი):**—თუ კი ჩვენ ყოველივე ნაგავს სარედაქციო კალათში ვყრით, რატომ გაუჭირდა ბათომის სანიტკომისიას ქუჩის გასუფთავება?

**გ. ზაქაროველს, (ჩაქვი):**—ჯერ-ჯერობით მხოლოდ ეს:

**აქ ზოგი კომკავშირელი**
**ედება ალთა-ბალთასა,**
**თავსა აფარებს რესტორანს,**
**(ზოგიც — ქალისა კალთასა).**

(მაგრამ უჯრედი, რომ არ შეიფერებს ასეთებს?!).

**ქედმაღლიშვილს, (ბათომი):** რომაული თქმულება ამბობს: **„ყველა გზები რომში მიდიან“...** ამიტომ არც გასაკვირია, რომ ყველა გამფლანგველის გზა გამსახლში მიდის. სწორედ ამიტომ ამოჰყო იქ თავი ილ. ჟღენტმა.

გთხოვთ, მოვათავსოთ მისი ლიღინი:

**ხანამ მქონდა ფულები,**
**ვჭამე მოხრაკულები**
**ბევრი ლამაზ ქალების**
**მოვიმონე გულები....**

ჩვენ არა გვგონია, რომ ილარიონ ეხლა ლიღინის ხასიათზე იყოს!

შემდეგ გვწერთ სკოლის შესახებ (შმიდტის ქუჩაზე), რომ

**შურამ ქვა გლიჯა იმ სკოლას,**
**დაფშვნა მინები იმისა;**
**ეს ჰქნა მიტომ, რომ შიგ იჯდა**
**ყოფილი დუშკა იმისა.**

ამ ამბავმა ჩვენ მოგვაგონა ერთი ეპიზოდი ლევარსი როხროხაძის ცხოვრებიდან: ერთხელ ლევარსიმ დაინახა ედუკი, რომელსაც მხარზე დოქით წყალი მიჰქონდა. ლევარსის უნდოდა ედუკისათვის გაარშიყება, წაეპარა, ესროლა ქვა და დოქი გაუტეხა.

ჩვენ რა ჭკუა უნდა ვასწავლოთ, როცა მასწავლებელი არაფერს ეუბნება!

**ხუშანდარეს. (ბერეჟოული, ჩოხატაურის თემი):** ჩვენ რას გვეკითხებით? ადგილობრივ ხელისუფლებას შეეკითხეთ, თუ:

**გლეხკომისა თავმჯდომარემ**
**მგონი ყლინწა ჩვენი ფული,**
**წარმოდგენის გამართვიდან**
**საცოდავად შემოსული.**

**მეხისშვილს. (გორდი, ქუთაისის მაზრა):** მართალია, მადლობა და ქება კოლექტივს ეკუთვნის, რომ მის სასადილოში

**დათვრებიან და რევოლვერს**
**გაისვრიან მაღლა ჭერში, —მაგრამ**

მაგრამ მაინც მილიციას ვეუბნებით: ყოჩაღ! ასე უნდა სიფხიზლე და წესიერების დაცვა.

**ჭიტას. (ბაღდადი. ცხემლის-ხიდი, ოზურ. მაზრა):** ღმერთმა მოგცეთ ასეთი ბებია:

**კოსტა დუმბაძის ნინოსა**
**ვერ შეედრება შხამია,**
**თავისი ბოროტ ენითა,**
**მოჰკლა მან ქალი სამია.**
**აიკლო მთელი სოფელი,**
**გაგიჟდა, გადაირია.**
**შეხედვა შეგეშინდებათ,**
**აქვს ოცი მეტრო ცხვირია.**

რას ერჩით მის ცხვირს? ენაზე უმოკლესი მაინც ყოფილა.

**„ბარი პილს“, (ყვარელი):** ტარტაროზს არ მოსწონს: არც ნინასა და მარუსიას საქციელი, არც თქვენი პროფკლუბი და მისი გამგე, არც ეს თქვენი წერილი და არც გარი პილი.

**მარანჭაგნელს:** — ქოხ - სამკითხველოსათვის პანაშვიდის გადახდას სჯობს—თქვენს შარადას გადაუხადოთ ასეთი.

**ზიპლიპიტოს, (ზესტაფონი):** — ახირებულია თქვენი მოთხოვნილება და საყვედური სინტკომისიის მისამართით. მაშ სად უნდა წავიდენ ძაღლები, თუ არც ქუჩაში გააჩერებთ და არც წითელ სასადილოში?

გთხოვთ **„დაგვიხატოთ ასეთი კარიკატურა“: „სანიტკომისიას სძინავს და ძაღლები თავზე ახტებიან“.** (ალბად იმიტომ არ იღვიძებს სანიტკომისია, რომ მისი ძილის მფარველი, ყარაული არის ძაღლი, რომელიც ახლოს არ აკარებს ლვიძილს.

ან და ასეთი: **„სასადილოში მაგიდების ქვეშ ძაღლები. მუშტარი ეუბნება გამგეს:**

**— ეს ძაღლი მომაშორე, თორემ მიკბენს!**

**— ჯერ ჩვენთვის არ უკბენია, და ხომ არ იკადრებს!**

შე კაი კაცო, ბინის კრიზისი ადვილად გადაუწყვეტია ძაღლს და რას ერჩი? (ჩვენ შევასრულეთ თქვენი თხოვნა და მოვათავსეთ კარიკატურა. იხ. მე-11 გვერდი).

**ალექსი ღლონტს, (ს. დვაბზუ):**— თქვენ თხოულობთ — ჩვენ უარვყოთ, რომ „ტარტაროზ“-ში მოთავსებული **„კაჟი“-ს** წერილი ექიმბაშისა და ქალების შესახებ თქვენ არ გეკუთვნის. ვადასტურებთ, რომ თქვენ არა ხართ **„კაჟი“**. (ეს ისედაც გასაგებია. „კაჟს“ ასე როგორ დააშინებდა ექიმბაში?!).

**ტარხუნას, (ოზურგეთი):** — კიდევ და უფსკერო გოდორს თუ შეუძლია ამ წერილის ატანა, თორემ სხვა გვერდები ახლოსაც არ გაიკარებენ.

**სიბინძურის სავსე ბოჭკა**
**ერთხელ ბაზრათ გაეტანათ,**
**გამსკვდარიყო მუშკოპის წინ....**
**იქ ვიდექი მეც იმ ხანად.**
**ეს რომ ნახა სანიტკომმა,**
**გაიქცა და დასცხო ზარი**
**და ჰყვიროდა: „მოგვეშველეთ,**
**დაგვეხმარეთ, ჰქოთს ბაზარი“;**

ასეთი სიყოჩაღის შემდეგ განა საყვედურის ღირსია ჩვენი სანიტკომისია?!

**დედისერთა შტრიკაძეს.** კიდევ კარგი, რომ დედისერთა ყოფილხართ, თორემ შენისანა ძმები, რომ გყოლოდა, რა ეშველებოდა დედაშენს?!.

გიგზავნით დაკარგვის განცხადებას. მიუმატეთ მათ რიცხვს ამ წერილის დაბეჭვდის იმედი.

**კიაზოს:**—თქვენს შარადიდან გამოდის ჟენევა („ჟენია“ და ევა). მაგრამ რა საჭიროა ამისათვის დროს დაკარგვა? ჩვენ ხომ ვერ ვიბაძავთ „ჟენეველ მოციქულებს“, რომლებიც დღესაც უქმად დროს კარგავენ ერთი ლიგის სესიაზე მშვიდობიანობაზე ლაყბობით.

**მ. გ—ცისა და ლიაპისს:** საქმე იმაშია, რომ სტუდენტების სასადილოს შესახებ ბევრჯერ იყო პრესაში აღნიშნული, მაგრამ ნაკლის გამოსწორება მაინც არ იქნება. ხოლო თუ კი თქვენ გგონიათ, რომ „ტარტაროზი“ გამოასწორებს მდგომარეობას: (იხილეთ მე-11 გვერდზე კარიკატურა).

წერილის ბოლოში გვწერთ: „თუ არ დაიბეჭდება, გინდ მაცნობეთ, გინდ არა... ველარ მიხვდები ჟურნალში რომ არ იქნება?! რაღა ცნობა უნდა?!.

სამწუხაროც ის არის, რომ ზოგი ვერ მიხვდება და გვაწუხებენ შეკითხვებით. ნეტავი თქვენსავით მიმხვდარი იყონ ჩვენი გოდრის გმირები! მაშინ რა გვიჭირდა?!

**ცრემლს: (ლიხაური, ოზურგეთის მაზრა):**— მართლაც სატირელია ეს თქვენი ლექსი:

**ინსტრუქტორი მოვიდეს,**
**გააკეთოს რადიო.**
**გულზე ეგებ გადამცილდე**
**არ დამჭირდეს მჭადიო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხო „მწყალობელი ხელი“

ნახ. მარიაშის

„როგორც გამოირკვა ავღანისტანში ზოგიერთ ტომების აჯანყებებს საიდუმლოდ ხელმძღვანელობდენ ინგლისელები. აჯანყებულებმა დასწვეს ახალი სკოლები“.




ინგლისელი: — ფადიშახის სურვილია ამ ქვეყნის განათლება, მაგრამ რადგან ეს პროცესი დაგვიანდება, აი, ჩვენ მოვედით და ქვეყანაც ხელად გავანათეთ.

[illegible] სტამბა [illegible]